

ALDA-ს მმართველი საბჭოს სპეციალური სხდომა

28 აპრილს გაიმართა ALDA-ს მმართველი საბჭოს სხდომა ონლაინ ფორმატში ახალი წევრების მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ ადრე ALDA-ში ახალი წევრების მიღების პროცედურა ეფუძნებოდა მხოლოდ ყოველი ახალი სუბიექტის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ანალიზს, ALDA-მ ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა მიეღო მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს პოტენციურ ახალ წევრებთან დიალოგს და პირდაპირ გასაუბრებას.

ადგილობრივ ხელისუფლებას ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ გახდნენ ALDA-ს წევრები, შეუძლიათ ონლაინ ფორმატში მმართველი საბჭოს წევრებს წარადგინონ თავიანთი თავი და მოტივები თუ რატომ სურთ ALDA-ს ქსელში გაწევრიანება. მსგავსი შეხვედრები რეგულარულად გაიმართება 2023 წლის განმავლობაში.

მმართველი საბჭო სპეციალურად შეიკრიბა რამდენიმე პოტენციური ახალი წევრის განაცხადის განსახილველად

2023 წლის 28 აპრილს, მმართველი საბჭო შეიკრიბა სპეციალურად, რათა განეხილა და გამოხმაურებოდა რამდენიმე პოტენციური ახალი წევრის განაცხადს:

- დნიპროს უნივერსიტეტი, (უკრაინა)
- კარპოშის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთ მაკედონია
- ჰანი ტე ელეზიტის მუნიციპალიტეტი, კოსოვო
- შტიმის მუნიციპალიტეტი, კოსოვო
- სამართლებრივი სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი – CLCI, ალბანეთი

შეხვედრაზე პოტენციურმა წევრებმა ისაუბრეს გამოწვევებზე და სტრატეგიებზე ადგილობრივი დემოკრატიისა და მოქალაქეების მონაწილეობის გასაუმჯობესებლად, ასევე მიმოიხილეს მათ მიერ განხორციელებული კარგი პრაქტიკის მაგალითები.

შეხვედრაზე წარმოდგენილი ყველა მხარე გაწევრიანდა ALDA-ს ქსელში.

ALDA-ს ქსელის ახალი წევრები განაგრძობენ ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერებას ევროპასა და მის სამეზობლოში!

ALDA-ს წევრობისა და მისი უპირატესობების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, გაეცანით **წევრობის საინფორმაციო პაკეტს**([Membership Infopack](#) -*link is not valid*) და/ან დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: membership@alda-europe.eu